ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N28

ქ.ზუგდიდი **29 ნოემბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 29 ნოემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: დარეჯან გაბედავა.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი;

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 15 წევრი. კომისიის სხდომის დაწყებისას სხდომას ესწრებოდა კომისიის 14 წევრი. კომისიის წევრი დავით ვეკუა სხდომას შემოუერთდა მესამე საკითხის კენჭისყრის შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სს ..... გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 (ცამეტი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2565.00. კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242331126 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233115-25 7.11.2023წ), რომელიც შეეხება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სს ..... გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 7 ნოემბრის N24-242331126 წერილის

შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდში მდებარე დანართ N1-ით გათვალისწინებული 20 ერთეული (თითოეული 1,0 კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სწრაფი გადახდის აპარატების განსათავსებლად გასცეს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით. 20 (ოცი) ერთეულის საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 12000 (თორმეტიათასი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ განაცხადა: „რა თქმა უნდა ამ საკითხს მხარს ვუჭერ, მაგრამ მაინტერესებს გაქვთ მონაცემები ამ აპარატებიდან რამდენი რჩება მეპატრონეს და რამდენი კომპანიას. მოგების მიხედვით ხომ უნდა დავადგინოთ ქირის საფასური.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განაცხადა: „ქირის საფასურის დადგენა ხდება აუდიტის დასკვნის საფუძველზე.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „იყო რამდენიმე შემთხვევა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე მომართვა შემოდიოდა ვადის ამოწურვის მერე. ასეთი შემთხვევები კიდევ არის?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „უკვე საეთი შემთხვევები არ არის. მაქსიმალურად ვაკონტროლებთ ვადებს, თუმცა ესეც არ არის პრობლება, რადგან ფაქტობრივით ის ანაზღაურდება მაინც.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „რამდენიმეჯერ აღვნიშნე რომ ზოგიერთი ჩასარიცხი აპარატი დენს ატარებს. ამ მიმართულებით მოხდა თუ არა რეაგირება.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ჩვენს სამსახურში შემოსული ძალიან ბევრი წერილია დახარვეზებული სწორედ ამ პრობლემის გამო, რადგან სანამ არ მოხდება მოწესრიგება ყველა ხარვეზის ვერ მიიღებენ თანხმობას.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სს ..... გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 10 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242331483 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233149-25 10.11.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 (ცამეტი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე4 პუნქტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N16 (01.11.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 ნოემბრის N24-242331483 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ.ზუგდიდი დავით აღმაშენებლის ქ.) 13 (ცამეტი) ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს .....სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 5 წლის ვადით გაცემაზე. ერთი ერთეული გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენების წლიური საფასური განისაზღვროს 4 (ოთხი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „მინდა განგიმარტოთ, რომ ეს 13 ახალი წერტილები არის აღმაშენებლის ქუჩაზე, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც არის დევნილთა ჩასახლება და „სილქნეტთან“ სტანდარტულად 5 წლის ვადით ვაფორმებთ ხელშეკრულებას.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „ბატონო ლაშა, გაითვალისწინეთ ქალაქის ცენტრში რომ შემოვიდეს ასეთი მოთხოვნა ჩვენ მხარს არ დავიჭერთ.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ყველა კომპანია (მაგთი, სილქნეტი და სხვები) ამ საკითხზე გაფრთხილებულია.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 (ცამეტი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს ..... სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242331794 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233173-25 13.11.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“

ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 ნოემბრის N24-242331794 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. N45-ში მდებარე 3405,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი-1043,49კვ.მ) საკადასტრო კოდი: N43.31.55.490) სახურავზე არსებული 5.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი გასცეს შპს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 12000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ეს მოწყობილობა განათავსდება გუბერნიის შენობის სახურავზე, დოკუმენტაცის თან ერთვის სამხარაულის ესქპერტიზის დასკვა, სადაც აღნიშნულია რომ ამ მოწყობილობის განთავსება საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 14

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით შპს ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის სხდომას შემოუერთდა კომისიის წევრი დავით ვეკუა.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 20 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242332433 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233243-25 20.11.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2565.00. კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 13 ოქტომბრის N5/55677 წერილის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 09 ოქტომბრის MIA 2 23 02947389 და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

მერის 2023 წლის 20 ნოემბრის N24-242332433 წერილის შესაბამისად, გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2565,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ამ მიწის ნაკვეთზე უნდა აშენდეს დროებით მოთავსების იზოლატორი, რადგან დღევანდელი რეალობა არის ასეთი ზუგდიდში როცა ხდება დამნაშავის დაკავება, გადაყავთ ფოთში, ასევე იხარჯება რესურსი და რაც ყველაზე მთავარია ეს არის უსაფრთხოება.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2565.00. კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციების პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციების პროექტიკომისიის ყველა წევრს გადაეგზავნა გაცნობის, მათი შენიშვნების, წინადადებების და რეკომენდაციების წარმოდგენის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ამ საკითხზე მოკლედ ვიტყვი. ეს დოკუმენტი განსხვავებულია წინა ორი დოკუმენტისგან, რაც იყო თუნდაც სამსახურებზე და ასევე ააიპ-ებზე. ეს არის შედარებითი ანალიზი შარშანდელი დოკუმენტით, რა რეკომენდაციებიც გაიცა და რაც წარმოადგინეს და პრეზენტაციები გააკეთდა იმ რეკომენდაციების შესაბამისად რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და ნაწილობრივ რა გაკეთდა. ეს დოკუმენტი ყველასთან იყო გაგზავნილი შენიშნვნებისა და წინადადებებისთვის.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ჩვენი ერთერთი შენიშნვაა-დასუფთავების სამსახურთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „არ არის შემუშავებული მოსაკრებლის ამოღების ეფექტური მექანიზმები, ხარჯების ამოღების სისტემის შემუშავება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპით.“ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს არ არის ამ ააიპ-ის ფუნქცია, ეს არის მერიის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, ეს შენიშვნა უნდა ამოვიღოთ ამ რეკომენდაციიდან.

მეორე-რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ანაკლია-განმუხური რესორტს ვთხოვთ თუ რამდენად აკონტროლებს აკვა პარკის მიერ იჯარის ხელშეკრულებით გათვალსიწინებული პირობების შესრულებას. ეს არ არის ანაკლია-განმუხური რესორტის ვალდებულება, ესეც მერიის ფუნქციაა. ასევე სპორტის ააიპ-ის შენიშვნაში შესრულების გრაფაში არაფერი არ უწერია და რა უნდა შეასრულოს ამ ააიპ-მა. 5 მსოფლიო ჩემპიონი, 10 ევროპის ჩემპიონი, 5 პრიზიორი ყავს და ამაზე მეტი შესრულებულ სამუშაოებში მეტი რა უნდა იყოს."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ზოგიერთ ააიპ-ს შესრულებაში არაფერი არ უწერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რამე დადებით შედეგები არ აქვს. შესრულებულში არაფერი რომ არ წერია ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შესრულების ზემოთ წერია 2021 წლის რეკომენდაციები, რომლების არ ქონდათ წარმოდგენილი და სწორედ ამიტომ არ წერია."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ვერ შესრულებაში სპორტის ააიპ-ს უწერია „არაფერი შეცვლილა ბიუჯეტის სპორტის და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხარჯვის ნაწილში", შეგიძლიათ ამიხსნათ რა იგულისხმება ამაში."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „დიახ, ავხსნი ამ საკითხსაც და დასუფთავების მოსაკრებლის ნაწილშიც. ჩვენ ამას ბოლომდე რომ წავიკითხავთ, შემდეგ ჩაშლილად წერია ბიუჯეტის ნაწილი. დავუშვათ, სპორტის ააიპ-ს ბიუჯეტის 100%-დან 90% მიდის სახელფასო ფონდში. მაგალითისთვის შარშან ჩემპიონებზე 28 000(ოცდარვაათასილარი) ლარი იყო გაცემული. ამ ნაწილში არაფერი არ შეცვლილა, იგივე ბიუჯეტია წარმოდგენილი."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „ამაში გეთანხმებით, მაგრამ სპორტული ინფრასტრუქტურის ხელშეწყოფაში რა უნდა ყოფილიყო."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „თუნდაც სპორტული ინვენტარი. რაც შეეხება მოსაკრებლების საკითხს, ეს არ არის მარტო კონკრეტული ააიპ-ის პრობლემა, ეს შენიშვნები ეხება მერიასაც, რადგან მერია არის მისი დამფუძნებელი და კურატორი."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ანაკლია განმუხურის რესორტთან დაკავშირებით ვერ შესრულდას პუნქტში აღნიშნულია „პროექტები არ განხორციელებულა. ინვესტორისთვის გადაცემული აკვაპარკის თემა მხოლოდ ინფორმაციის დონეზე იქნა მოწოდებული და დეტალები არ წარმოდგენილა მიმდინარე საქმიანობების შესახებ".

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „ფაქტია, იურიდიულმა პირმა ანგარიშის დროს თვითონ წარმოადგინა აკვაპარკზე ინფორმაცია. აკვაპარკი ანაკლია-განმუხური რესორტის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს და ის რომ ქონების სამსახურმა გასცა ეს ქონება, თვითონ ხომ არის პასუხისმგებელი."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ანაკლია განმუხური რესორტს აკვაპარკში შესვლის უფლებაც არ აქვს, გარედან ვიზუალურად თუ დააკვირდება, რადგან ის უკვე სხვისი საკუთრებაა (გაცემულია იჯარით 10 წლის ვადით)."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „გასაგებია, მაგრამ მონიტორინგს არ აკეთებს ვალდებულების ნაწილიში."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „მონიტორინგს მერიის შესაბამისი სამსახური აწარმოებს და არა ანაკლია-განმუხური რესორტი."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „გასაგებია რასაც ამბობთ, მერიას აწარმოებს მონიტორინგს, მაგრამ იურიდიული პირი გვაქვს დაფუძნებული, რომელშიც ვიხდით 1 000 000(ერთიმილიონილარი) ლარს, რომელიც თავის უფლებამოსილებას იმ ტერიტორიაზე ახორციელებს, სამართლებრივად, რეალურად დელეგირება რომ გაუკეთოთ და ყოველდღიურად შედიოდეს მანდ, ჩათვალეთ რომ ეს პირდაპირი მოვალეობაა მისი, რადგან საკურორტო ზონა ეს ააიპი კურირებს. თუ მენეჯმენტი ვერ მუშაობს ეს სხვა საკითხია."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენების შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები შეფასდეს დადებითად და წარედგინოს ბიუროს დასამტკიცებლად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია